

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

18. 07. 2016 წელი

80/2

----- ქ. თბილისი № -----

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა გარე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა რეგისტრაცია სსიპ განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე 2016 წლის 27 ივლისიდან 18 აგვისტოს 18:00სთ-მდე: <http://eqe.ge/geo/mobility>.

2. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ, მობილობის უფლება მოპოვებულ სტუდენტთა შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2016 წლის 19 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს სტუდენტის პირადი საქმის ასლი.
3. 2016 წლის 01-02 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდის/ტესტირების/გასაუბრების (ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიმართულებებზე - კონკურსის შემთხვევაში) ჩატარების ვადად.
4. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 02-05 სექტემბერი.
5. 2016 წლის 05-06 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი განცხადებით დასტური/თანხმობის დადასტურების ვადად.
6. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება - 07 სექტემბერი.
7. გარე მობილობის შედეგების გამოქვეყნების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 08 სექტემბერი.
8. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის გამოცემის ვადად განისაზღვროს - 08 სექტემბერი.

9. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2016 წლის 08-09 სექტემბერი.
10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.
11. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
12. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
13. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის, კინო-ტელე და დრამის ფაკულტეტებს და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტს.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. 6.

საფუძველი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 566
05.07.2016 – 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის
სემესტრის მობილობის პროცესის
ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების
განსაზღვრის შესახებ.

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი